03/03/2020

ნიკოლ ფაშინიანი – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შთამაგონებელი შეხვედრა მქონდა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ სომხეთის პრემიერ-მინისტრს, ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.

საპატრიარქოში გამართული შეხვედრის შესახებ ფაშინიანმა „ტვიტერში“, საკუთარ გვერდზე დაწერა და ფოტოც გამოაქვეყნა.

„ნამდვილად შთამაგონებელი შეხვედრა მქონდა მის უწმინდესობასთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან. არსებობს მკაფიო შესაძლებლობა, რათა დავგეგმოთ ჩვენი ქვეყნების მომავალი ერთად, მიუხედავად ყველა არსებული საფრთხისა რეგიონში“, – წერს ნიკოლ ფაშინიანი.

> Had a truly inspirational meeting with His Holiness and Beatitude, Cathalicos-Patriarch of All #Georgia Ilia II. There is a clear opportunity to

start planning the future of our countries together, despite all existing threats in the #region. pic.twitter.com/NuUcJx1ZSL

— Nikol Pashinyan (@NikolPashinyan) March 3, 2020

1tv.ge